

სოციალ-დემოკრატიული ფურცელი



მთავარი,
პარასკევი, 16 დეკემბერი
1905
ნომერი 3 კავიჯი. * ქულიჭადი პირველი.

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 3.

ყოველ - დღიური გაზეთი.

№ 3.

Въ субботу, 17 декабря въ 8 час. вечера въ помещеніи Кружка назначено чрезвычайное собраніе гг. членовъ кружка для разрѣшенія вопроса о ликвидаціи дѣлъ.

პარტიის გაერთიანების შესახებ.

უკვე მესამე წელიწადია, რაც ჩვენი პარტია არა ნორმალურ პირობებში მუშაობს. მესამე წელიწადია უკვე, რაც ერთი და განუყოფელი პროლეტარიატის პარტია სოც-დემ. გაყოფილია ორ ბანაკად და ასე თვის-თვისათ ვწვევან პროლეტარიატის განთავისუფლების უღელს. ჩვენ არ გამოუდგებით ამ განხეთქილების მიზეზების ვრცლად გამოძიების დასაბუთებას, მხოლოდ ვიტყვით, რომ დღეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენი განხეთქილების მიზეზი რომელიმე ბელადის პირადული თავმოყვარეობა, ან ინტრიგები არ ყოფილა; მიზეზები განხეთქილების უფრო ღრმა იყო. მეორე სივრცეზე ლენინი და მარტო-

ვი კი არ წაკიდებიან ერთი მეორეს, როგორც ეს ეგონა ზოგიერთს გულუბრყვილო ამხანაგს, — მეორე სივრცეზე ერთი მეორეს შეეჯახა ორი მიმართულება; მიმართულება მწყობრი და მთლიანი, რომელიც პარტიის მეორე კრებამდინაც იყო ჩვენ პარტიულ ცხოვრებაში, მხოლოდ ამ კრებაზე მან მიიღო უფრო გამორკვეული სახე. თვით ეს ორი მიმართულება იყო ნაყოფი იმ ობიექტიურ სოციალ-პოლიტიკურ პირობების, რომელშიაც მუშაობდა ჩვენი პარტია. პოლიტიკური რეჟიმი, აბსოლუტიზმი, ორ ფრონტზე ბრძოლა: ერთი მხრით ბრძოლა ხაზინებთან სადღეისო ჭირ-ვარამისათვის და საბოლოო მიზნისთვის — სოციალიზმისათვის, მეორე მხრით ბრძოლა პოლიტიკური — თვითმპყრობელობასთან, რომელიც მას ხელს უშლიდა პირველ ბრძოლაში. აი ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ის ორი ტაქტიკა და ორი ორგანიზაცია, რომელმაც გაგლიჯა ჩვენი პარტია ორ ნაწილად. ამ ორ ფრონტზე ბრძოლამ, როგორც მოსალოდ-

ნელი იყო, გამოიწვია ორი უკიდურესობა: ეკონომიზმი და პოლიტიკიზმი, პირველი მთელ თავის ყურადღებას აქცევდა ეკონომიურს მხარეს და ივიწყებდა პოლიტიკურს, მეორე კი აზვიადებდა პოლიტიკურ ბრძოლის მნიშვნელობას, და ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა ეკონომიურს. ამ უკანასკნელმა დაამარცხა პირველი, მაგრამ მეტიც ქნა. მან „გადაღუნა ჯოხი მეორე მხრივ“, ლიკვიდაცია ეკონომიზმის, როგორც პოლიტიკურ აზროვნების იყო იმავე დროს უარყოფა მასსიურ ორგანიზაციების, პარტიიდან მასსა გაიღვენა. მუშათა პარტია დარჩა უმუშოთ, კლასობრივი პარტია — უკლასოთ, პოლიტიკა — უეკონომიოთ. აი რა მოგვცა პოლიტიკიზმის გამარჯვებამ და მისმა უკიდურესმა განვითარებამ. მან შექმნა კულტი „პროფესიონალურ რევოლუციონარული“, და ამ რევოლუციონარულ ორგანიზაცია, რომლის ძლიერების მიზანს და განუსაზღვრელ ძალაში დარწმუნებული იყო აგერ ახლა ჩვენი ბევრი ამხანაგი. ამ ორი მიმართულების ცალმხრი-

ვობის უარყოფა მათი კარგი მხარეების შეერთება შეზავება იკისრა პარტიულმა „უმცირესობამ“. და აი აქ გაისკვნა კვანძი პარტიული განხეთქილების, ამით გაიყო იგი. მაგრამ ეს არა ნორმალური მდგომარეობა შეუძლებელი იყო გაგძლეულიყო დიდხანს. რევოლუცია მედგრათ თხოულობდა სარეალიუციო ძალების ორგანიზაციას; ყველა საზოგადოებრივი კლასები და ჯგუფები ეწყობოდნენ. იმავე რევოლუციამ პროლეტარიატს მოთხოვა მისი ძალების მოძიონაცია; პროლეტარიატმა მიყო ხელი თავის ძალების მოწყობას, მაგრამ რა გამოირკვა? გამოირკვა, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ძლიერ ვიწრო შეიქნა მათთვის, და ისინიც პარტიის გარეშე აარსებენ თავის ორგანიზაციებს, თუმცა მათი ყოველი ნაბიჯი, მათი პოლიტიკა წინსვდა კლასობრივი პროლეტარიატი ითვისებს ჩვენს ლოზუნგებს, ორგანიზაციულათ კი ის მოწყვეტილი დარჩა პარტიას, და პარტია პროლეტარიატს. ამ ფაქტმა, რასაკვირველია, ძლიერ გამოაფხიზლა

ფელეტონი

შეუწყვეთელი რევოლუცია.

(თარ. რუსულიდან მერინგის წერილი).
ნეტარება იმას, ვისაც წილათ ხვდა ამ დიდებულ ხანაში ცხოვრება, რომელსაც სახელათ დიდებული რუსეთის რევოლუცია ეწოდება და რომელიც 1789 წ. საფრანგეთის რევოლუციაზე გაცილებით დიდებულ სურათს წარმოადგენს მსოფლიო ისტორიისათვის. ყველა რევოლუციები მე-XIX საუკუნეში მხოლოდ გამოხმაურება იყო ამ უკანასკნელისა, ნამდვილი გამოხმაურება და მეტი არაფერი; ესევე ითქმის ევროპის 48 წლების რევოლუციურ მოძრაობაზედაც, რაც უნდა დიდებული იყოს ის, რაც უნდა შორს ვრცელდებოდეს მისი გავლენა, გადატანილი მთელ ევროპის კონტინენტზე ტალღები ამ დიდებული რევოლუციისა რუსეთის საზღვრებსაც გადასცილდა.
დიდებული რუსეთის რევოლუცია მითი განსხვავდება დიდებული საფრანგეთის რევოლუციისაგან,

რომ მას ხელმძღვანელობს შეგნებული პროლეტარიატი. ანტუანის მიდამოების მუშებმაც აიღეს ბასტილია; ბერლინის მუშებმაც დაამარცხეს ბარკადებზე ბრძოლაში პრუსიის გვარდია 18 მარტს 18 წელს. მაგრამ გამირები ამ რევოლუციებისა ერთსა და იმავე დროს მათი მსხვერპლიც გახდნენ. დიდებული გამარჯვების მეორე დღესვე მათ ბურჟუაზიამ ხელიდან გამოგლიჯა გვირგვინი მათი გამარჯვებისა. ამიტომაც, 1789 წლის ტიპის რევოლუციები გაქრნენ; 48-19 წ. კონტრ-რევოლუციის ასეთი უბრალო გამარჯვება მითი აიხსნება, რომ მუშებს კარგი ხანია მოსწყინდათ თავიანთი ხელებით სხვისთვის წაბლივლოთ ცეცხლიდან თვითონ კი მითგან, ვინც წაბლს ეპატრონებოდა, ბუდამ პირში ჩალა გამოვლებულნი ყოფილიყვენ, და ყოველივე ეს შედეგი იყო პროლეტარიატის კლასიური შეუგნებლობისა, რომელიც მას შეძლებას არ აძლევდა ერთსა და იმავე დროს ფეოდალური მთავრობაც დაემხო და ბურჟუაზიის გაიძვერობისთვისაც ბოლო მოეღო. რაც ევროპის 48 წ. რევოლუ-

ციის სისუსტეს შეადგენდა, 1905 წ. რუსეთის რევოლუციისთვის დიდესულ ძალას წარმოადგენს. ამ შეუწყვეთელი ძალის მატარებელია პროლეტარიატი, რომელსაც მტკიცეთ აქვს შესისხლ-ხორცებული ის „მუდმივი რევოლუცია“, რომელსაც წინათ უნაყოფოთ ქადაგებდა „ახალი რეინის ვაზეთი“. იმ დროს, როდესაც მეფის ჯალათების თოფ-ლეკურებით დანთხეული უმანკო სისხლი ნაკადულეზათ იღვრებოდა, რუსეთის პროლეტარიატი გაორკეცებული ენერგიით მედგრათ იცავდა თავის მოთხოვნილებას და საერთო პოლიტიკური გაფიცვით ძირიან-ფემიანათ შეარყია მეფის ტახტი. უკანასკნელი მეფის მანიფესტი — მიიღესპოტიური უფლებების სამუდამოთ უარის ყოფას ნიშნავდა; რაკი ერთხელვე აღუთქვა მეფემ ხალხს კონსტიტუცია, ამით ის იმ საზღვარს გადასცილდა, საიდანაც მისი გამობრუნება არავითარ ძალას აღარ შეუძლია.
ეს არის დიდებული გამარჯვება რუსეთის პროლეტარიატისა, უდიდებულესი იმ გამარჯვებათაგან, რომელიც რომელიმე ქვეყნის პროლე-

ტარიატს მოუპოვებია რევოლუციონურ აჯანყების დროს. ბასტილიის შემშუსვრელი და ბერლინის ბარკადებზე მებრძოლი მუშებიც გამირები იყვენ, მაგრამ მათ ძალა არ შესწევტათ მუდმივი — შეუწყვეთელი ბრძოლისა, რომელსაც დღეს რუსეთის მუშები ეწვიან და ვერავითარი დროებითი დამარცხება მათ ამ რევოლუციის გზაზე ვერ აფერხებს. ყოველი გამარჯვება ბრძოლის ველზე მათ სიმხნევეს მატებს და ახალი უფრო ძნელი ბრძოლისათვის იწვევს წინ. სამხედრო ისტორიამ კარგათ იცის, თუ რა ძნელია გამარჯვებული ჯარების ახალ ბრძოლაში გაწვევა, როდესაც სურთ დამარცხებული მტრის უკანდაღვევება და ბრძოლის ველის სრულიად გაწმენდა მოწინააღმდეგეთაგან; და ეს მით უფრო ძნელია, რამდენათ გამარჯვება უფრო ბრწყინვალეა. კაცობრიობის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ის ყოველთვის ხანგრძლივი მოქმედების შემდეგ — ხანგრძლივ დასვენებას მოითხოვს, რომ დაკარგული ძალა აღადგინოს და ახალი ენერგიით შეუღდეს დაწყებულ მოქმედების გაგრძელებას. აი სწორეთ ამ

ბევრი ჩვენი ამხანაგები და მით დიდ მოუზნადა ნიადაგი შეერთების საქმეს, ისინი ვინც გუშინ იძახოდა მჭიდრო პარტიის კარებაო, დღეს ფართო გზას თხოულობენ. ამნაირათ ორი ფრაქციის ორგანიზაციული შეხედულება ერთი მეორეს უახლოვდებიან.

მეორე მიზეზი რომელმაც შეუწყობი ხელი პარტიის გაერთიანებას, ეს არის ოქტომბრის რევოლუცია, რომელმაც მისცა შეძლება პარტიას დაეხსნა თავი კონსპირაციულ ჩარჩოებიდან. პარტია გამოვიდა დღის სინათლეზე და წარდგა შეგნებულ პროლეტარიატის წინაშე. მან შეხედა, რომ მის პარტიაში ბევრი რამ არის მოუწყობელი და გაურთიერებელი, მან მიხვდა, რომ ტყვილია ზედა ჩვენი ორგანიზაციების და ცენტრების ცდა შეერთების შესახებ, მან გაიგო, რომ ჩვენი ცენტრების შეერთებაზე მოლაპარაკება მხოლოდ ცარიელ ოქმებს და იძლეოდა და ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამდა წინ შეერთებისაკენ და აი ამის შემხედვარე მოწინავე პროლეტარიატმა აღაძურა თავისი ხმა. მან გამოაცხადა თავისი თავი პარტიის ბატონათ და მოითხოვა რევოლუციონური გზით პარტიის შეერთება, რაც ასე საჭიროა დღეს პროლეტარიატისთვის. და აი ეს შეერთება უკვე ხდება მის დაუკითხავათ უნდა თუ არა ეს ცენტრებს, რომლებიც უკვე იძულებული არიან დააჩქარონ შეერთების საქმე.

ბედნიერი შემთხვევით სარგებლობდა ყოველთვის ბურჟუაზია, როდესაც პროლეტარიატი მედგარი ბრძოლით მოპოვებული უფლებანი მაგრათ ხელთ ეპყრა.

საფუძვლიანათ ფიქრობს ერთი ბურჟუაზიული გაზეთი, რომ მეფის მანთესტი ცოცხლათ მოგვაგონებს იმ დაპირებას, რომელიც ვილგელმ IV რევოლუციის შიშით აღუთქვა ხალხს. მართლაც, ეხლაც ხომ მთავრობა ბევრ რამეს პირდება ხალხს: პიროვნების ხელშეუხებლობას, სვინდისის თავისუფლებას, სიტყვისას, ხალხის წარმომადგენლების მოწვევას ფართო საარჩევნო უფლებებით და გადამწყვეტი ხმით. მაშინაც და ეხლაც ბურჟუაზიულ ოპოზიციას კარგათ ესმის, რომ თუ დამარცხებული მთავრობა იძულებულია დაუთმოს ხალხს, ყველა ეს კარგი დაპირებანი ცარიელი ბუმბულები კი არაა რევოლუციის ქვაბში მცურავი, არამედ ნამდვილი, რეალური გარანტია იმისა, რომ ამ ზომამდე რევოლუციით ქედ მოხრილი თვითმპყრობელობა თავის დღეში ველარ გაიმართება წელში. მაგრამ ბურჟუაზია ფრიათ დაინტერესებუ-

ლია რევოლუციონური მოძრაობა აბუჩათ აიგდოს, პროლეტარიატის როლი რაც შეიძლება დაამციროს, ხოლო რევოლუციით მოპოვებული უფლებანი რაღაც არა ქვეყნიურ ძალათ წარმოიდგინოს, რომელიც ვითომდა თავის თავათ გადაიქცევა სინამდვილეთ და ქვეყნის მოეფინება, მხოლოდ საჭიროა ზომიერი მშვიდობიანი მოქმედება და აუჩქარებლობა. ამიტომაცაა, რომ ყოველი რევოლუციონური გამარჯვების შემდეგ ბურჟუაზია თავგამოდებით იხვეწება: „რაც შეიძლება მეტი სიმშვიდეო“. და ყოველივე ამას ვითომდა მუშათა საკეთილდღეობათ ჩადის, ნამდვილათ კი თავის ინტერესების დასაცავათ და განსამტკიცებლათ.

ეს ყველაზე უფრო საშიში წუთებია, რომელსაც რევოლუცია განიცდის, მაგრამ რამდენათაც ეს წუთები საშიშარი იყო აქამომდე პროლეტარიატისთვის, დღეს ეს გამოცდაც მხნეთ და ბრწყინვალეთ გაიარა რუსეთის მუშამ, მან მტკიცეთ უპასუხა მეფის მანთესტს: რევოლუცია შეუწყვეტილად განაგრძობს თავის ძლევა მოსილ მსვლელობასო. ჩვენი რუ-

ლია რევოლუციონური მოძრაობა აბუჩათ აიგდოს, პროლეტარიატის როლი რაც შეიძლება დაამციროს, ხოლო რევოლუციით მოპოვებული უფლებანი რაღაც არა ქვეყნიურ ძალათ წარმოიდგინოს, რომელიც ვითომდა თავის თავათ გადაიქცევა სინამდვილეთ და ქვეყნის მოეფინება, მხოლოდ საჭიროა ზომიერი მშვიდობიანი მოქმედება და აუჩქარებლობა. ამიტომაცაა, რომ ყოველი რევოლუციონური გამარჯვების შემდეგ ბურჟუაზია თავგამოდებით იხვეწება: „რაც შეიძლება მეტი სიმშვიდეო“. და ყოველივე ამას ვითომდა მუშათა საკეთილდღეობათ ჩადის, ნამდვილათ კი თავის ინტერესების დასაცავათ და განსამტკიცებლათ.

პ ა რ ტ ი ი დ ა ნ .

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში პეტერბურგში შესდგა მეორე კონფერენცია რ. ს.-დ. მ. პ. („უმცირესობის“). კონფერენციასე დაესწრო 36 ორგანიზაცია. კონფერენციის უმთავრისი საკითხი იყო პარტიის ორი ფრაქციის შეერთება და იმ საერთო პლატფორმის შემუშავება, რომელზედაც შეიძლება პარტიის ორი ნაწილის გაერთიანება. კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი ორგანიზაციული უმთავრესი დირექტივები, რომელნიც შეადგენენ შეერთების აუცილებელ პირობებს.

პარტიული ორგანიზაცია.

1. რ. ს.-დ. მ. პ. წევრათ ითვლება ყველა ის, ვინც ა) იღებს პარტიის პროგრამას, ბ) მონაწილეობას იღებს ერთ რომელიმე პარტიულ ორგანიზაციაში; გ) შეაქვს საწევრო გადასახადი ორგანიზაციის კასაში.
2. რ. ს.-დ. მ. პარტია უნდა იყვეს აშენებული დემოკრატიულ ცენტრალისტურ პრინციპზე.
3. ყველა პარტიული დაწესებულებანი არიან ვადით.
4. ყველა პარტიული დაწესებულებანი ირჩევიან ვადით.
5. პარტიული დაწესებულებების არჩევნებში იღებენ მონაწილეობას პარტიის ყველა წევრები.
6. პარტიული დაწესებულებანი უნდა იყვნენ აბსოლუტურად დემოკრატიული.
7. ხელმძღვანელი კოლექტივის გადაწყვეტილება სავალდებულოა იმ

ორგანიზაციების ყველა წევრთათვის, რომელთათვისაც ეს კოლექტივი წარმოადგენს ორგანიზაციას.

8. მთელი ორგანიზაციის გამოსვლის დროს (სივხდი, რეორგანიზაცია) კითხვების გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებს ყველა ორგანიზაციის წევრები.

9. დაბალი ორგანიზაციების (პერიფერიების) გადაწყვეტილებანი, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ორგანიზაციების გადაწყვეტილებას, არ მოიყვანებიან სისრულეში.

10. ორგანიზაციის საფუძველს შეადგენს პარტიული კავშირი, ან ერთათ ერთი რომელიმე განსაკუთრებული ადგილისათვის და ან დაყოფილი რაიონულ და პოდრაიონულ კავშირებათ. რაიონული და „პოდრაიონული“ კავშირები თავიანთ შინაურ საქმეებს განაგებენ ავტონომიურათ.

11. საარჩევნო პარტიულ სივხდს ესწრებიან პარტიის ყველა წევრნი — პირდაპირის ხმის უფლებით; დღევანდებულ სივხდისთვის ირჩევენ ორგანიზაციები თავის წევრთა რიცხვის მიხედვით.

თვითეულ პირს სივხდზე აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება.

სივხდზე გასარჩევი კითხვები წინთაწინ უნდა იქნას გამოცხადებული, რათა ორგანიზაციებს საშვალეობა მიეცეთ წინდაწინ განიხილონ ისინი.


პარტიის ორი ფრაქციის შეერთებაზე.

1. კონფერენციამ გამოთქვა ახრი დაუკონებლივ მოახდინოს ადგილობრივი შეერთება ყველა ადგილობრივ მეუმცირესეთა და მეუმრავლესეთა ორგანიზაციებისა დემოკრატიულ ცენტრალიზმის საფუძველზე „უმრავ-

სეთის ამხანაგებისათვის ფრად სასიამოვნოა ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთებისაგან ისეთი ამბების გავრცელება, როგორც არის, მაგალითათ ქვემოთ მოყვანილი ტელეგრამა პეტერბურგიდან: „სოციალისტების გავლენით საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ გაცილებით მეტს არა სასურველ შედეგს გვიქადის, ვიდრე ამას აქამდე მოველოდით. დღეს სოციალისტების საუცხოვოთ მოწყობილი ორგანიზაცია გაცილებით მაღლა დგას ბურჟუაზიისაზე“, რუსეთის მუშები სრულიად არ ფიქრობენ იარაღის დაყრას, დღეს გამარჯვებულ მებრძოლთ არ უნდათ ხვალ მოტყუებულნი დარჩენ, და აი სწორეთ ამში გამოიხატება დიადი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა რუსეთის დიდი რევოლუციისა, შედარებით სხვა მის მოწინავე რევოლუციებთან.

რასაკვირველია, რუსეთის მუშებზედაც თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ისინი ხვალინდელი დღიდან არავითარ სასწაულს არ მოელოან. მათ არ ძალუძთ საზოგადოებრივი ისტორიის განვითარების წინააღმდეგ

ერთი დაკრით თვითმპყრობელობის მოსპობა და მის მაგიერ სოციალისტურ სამეფოში შესვლა. მაგრამ მათ შეუძლიათ შეამოკლონ აუცილებელი დრო და გაწმენდონ გზაზე უფრო მეტი სასწრაფით გასწიონ თავიანთ საბოლოო მიზნისაკენ. და ამას ივინი შესძლებენ თუ რევოლუციით მოპოვებულ უფლებებს გაუმადლარ ბურჟუაზიას არ ხუდგენენ ხელში, არამედ ყოველგან და ყოველთვის ეცდებიან უფრო გააფართოვონ და განამტკიცონ შეუწყვეტილი ბრძოლით მოპოვებული უფლებანი; ამით კი ისინი დააჩქარებენ ისტორიულ ანუ სხვანაირათ რომ ვსთქვათ — რევოლუციონურ განვითარებას. რამოდენიმე თვის ანუ კვირის გინმავლობაში დღეს პროლეტარიატს იმდენი რამ შეუძლია მოიპოვოს თავის ინტერესების დასაცავათ, რისთვისაც მას საუკუნოები დასჭირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ კი გამარჯვების შემდეგ ბურთი და მოედანი ბურჟუაზიას დარჩენოდა. მას არ შეუძლია ახალ რუსეთის კონსტიტუციაში შეიტანოს მუხლი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მაგრამ მათ



*** შველასათვის ცხადია, რომ ვაჭრების მადა სხვის ყვლეფაში უსაზღვროა, მაგრამ ისეთი ურცხვი და შეუწყნარებელი თავგასულობა რომ გორიკ ქუთაისის ვაჭრებს ჩვეულე-ბათ გადაუქცევიათ, ყოველივე საზღვარს გადაცილებულია. ეს ვაჭბატონები სარგებლობენ შემთხვევით რე ყოველივე საქონელს ერთი ორათ ყიდიან. მიზეზი რომ კითხვით ვეტყვიან: გაფიცვა არის რკინის გზაზე და ძვირათ ვეზის საქონელი; მაგრამ ეს სრულიათ უსაბუთო თავისმართლებაა, რადგან ისინი ისეთ საქონელს ყიდიან ერთი-ორათ, რომელიც მათ დიდხანია მოტანილი აქვთ და ძვირათ არ დაჯდომიათ მისი მოტანა. ვაჭრების ასეთ თავგასულობას აუცილებლათ ბოლო უნდა მოეღოს.

*** წუხელის მოწამეთაში სამი შეიარაღებული კაცი თავს დასხმია ღარიბ გლეხს ონისიმე ჭარხალაშვილს, რომელსაც შვიდი თუმანი ჰქონია თავმოყრილი სახლის საყიდლათ. ყაჩაღებს რომელთაც პარტიის სახელით მოუთხოვიათ ფული „იარაღისთვის გვინდაო“, 70 მ. მათ თითონ გამოუძებნიათ და არხენიანთ გადგომიან გზას. საწყალი გლეხი გუშინ დილას ჩამოიჭრა ქუთაისში და ტირილით შესჩივლა ყველას, რაღა მეშველება დავიღუპე კაცი, დავრჩი უსახლკაროთო. საჭიროა ამისთანა თავაშეებულების სასტიკი ძებნა ათის და ასის თავებისაგან.

*** გუშინ წავილა დელეგატის მატარებელი თფილისსა, ბათუმსა და ფოთში. ამ ადგილებში მიმავლები ბევრია, მარა მათ საყურადღებოთ ს.-დ. ორგანიზაცია აცხადებს, რომ იგი, გარდა თავის საჭიროებისა ვერავის ვერ გააგზავნის დელეგატის მატარებლით. სადელეგატო მატარებლებს დღეიდან განაგებს განსაკუთრებული. „ბიურო რკინის გზების გაფიცვისა“.

გლეხების მოძრაობა ჩვენში და რუსეთში.

ჩვენში გლეხები ამოდრავდენ 1902 წელს. ყველაზე წინ გამოვიდა ბრძოლის ველზე გურიის გლეხობა. მათში უკმაყოფილების თესლი პირველათ მუშებმა ბათუმიდან პოლიციისგან გაძევებულებმა გადისროლეს. ბრძოლის იარაღი ქალაქში ნაცადი მუხავოდე-მეჭარხნეთა წინააღმდეგ გადაცეს თავის მოძმე გლეხებს სოფლათ. პირველი იერიში გლეხებმა მიიტანეს მემამულეებზე; მათ მოთხოვეს დაკლებული ღალით მიწების გაცემა და ყოველგვარი გადასახადების მოსპობა. განებოვრებულმა თავად-ახნაურობამ გლეხების გაბედული მოთხოვნისება მეტათ იუკადრისეს და იგი უარი ტკიცეს; თუ გინდათ ძველ პირობებით აიღეთ

ჩვენი მიწები, თუ არა იყოს დაუმუშავებელი. მთელმა გურიის გლეხკაცობამ გაფიცვა და ბოიკოტი გამოუცხადეს მიწის მებატონეებს; ჩამოართვეს მათ მოსამსახურეები, მოურავები, გასწყვიტეს თავად-ახნაურობასთან ყოველგვარი კავშირი ქირსა და ღხინში. ეს შესანიშნავი ბრძოლა მემამულეებთან გაგძელდა ორ წელაწას. ამ ხნის განმავლობაში ღიდი გასაჭირი განიცადა გურიის გლეხკაცობამ; აუტანელი შრომა ხრიოკ და მწირ მიწებზე და მაინც შიმშილი, ზურგში მათრახები, ციხეები და ცივი ქვეყნებისკენ უნებური მოგზაურობა, — აირა ხედა წილათ გურელებს. ურჩი გურელების დასამარჩილებლათ მემამულეებმა მეფის მთავრობას მიმართეს, მიგან გამოელოდენ ხსნას და შეველას, მეფის მთავრობამ ფიცხელი განკარგულება მოახდინა: გაიგზავნოს სოფლებში კახკები, გლეხებს მათრახებით ასწავლონ ჰკუა, ყველა საეჭვო პირი სოფლათ შეპყრობილ იქნეს და ქუთაისის ცახეში დაამწყვდიონ. გლეხებმა აშკარათ დაინახეს, რომ მთავრობა თავადების — მემამულეებს ქომაგი ყოფილა და დაუძინებელი მტერი გლეხების, ამიტომაც პირველი იერიში გლეხებმა თუ მემამულეებზე მიიტანეს, მეორე მეფის მთავრობაზე — მემამულეთა მოსარჩლეზე უნდა მიეტანათ. და ეს მართლაც ასე მოხთა. მთავრობის ყოველგვარ დაწესებულებას ბოიკოტი გამოუცხადეს; მტკაცეთ მიცეს ერთმანეთს სიტყვა, რომ ამიერიდან აღარ მიმართონ მეფის სასამაროლოებს, აღმინისტრაციას, არ გაგზავნონ ბავშვები სამინისტრო სკოლებში. მეფის სასამართლოების სამაგიეროთ გლეხებმა თვითონ შექნეს თავის საკუთარი სახალხო სასამართლოები სამოქალაქო და სისხლის სასამართლო; აირჩიეს ათისთავები, ასისთავები და რაიონის წარმომადგენლები; უარი უთხრეს მთავრობას ყოველგვარ გადასახადებზე და სალდათების მიცემაზე, სკოლაში ახალი პროგრამა შეიტანეს, უფარგისი მასწავლებლები დაითხოვეს და მათ ადგილზე ახლები აირჩიეს. მთელ გურიაში ამნაირათ მოსპეს მეფის მთავრობის ყველა წარმომადგენლები და შემოიღეს თვითმართველობა ფართო დემოკრტიულ ნიადაგზე. ასეთ მებრძოლთ მემამულეები აწარმოვეს და ორი წლის შემდეგ ყველა მოთხოვნისება გლეხების დააკმაყოფილეს. მთავრობამ განიძრახა ადგზნებული ცეცხლის ჩაქრობა გურიაში და ამისთვის უკიდურეს საშეაღებას მიმართა. აღიხანოვი ორჯერ იყო გაგზავნილი გურიაში აუარებელი ჯარით და თოფზაობაზნებით; ნაბძანები ჰქონდა მთელი გურიის აოხრება, მტხოვრებლების ამოკლეთა. მარა რევოლიუციონური პროლეტარიატი ორხელებე წინ დაუდგა მეფის მთავრობას და პირდაპირ განუცხადა: თუ მთავრობა გურიის წინააღმდეგ გაილაშქრებს, მაშინ მთავრობის წინააღმდეგ კავკასიის პროლეტარიატი და გლეხკაცობა

იქნება, სასტიკ ომს გამოუცხადებს თვითმპყრობელობის დაშაშებსო. ამ შეტევამ მთავრობა დააფთხო და თავის გადაწყვეტილება უკან წააღებინა: ჯარები თფილისში გაიწვიეს. მთავრობას დიდხანს ეგონა რომ ყოველივე მოძრაობის მიზეზი გურიაში რამდენიმე ზოროტი აგიტატორია, თუარა ხალხი არაფერ შუაშია. ამაში რომ დარწმუნებული იყო გენერალმა მალამამ თავის მხლევრებ-გირეი გაგზავნა ყველაფრის გასაგებათ. როცა ნახევიარ გურიაზე მეტმა კრიმ-გირეის წინ დაუყენა სოციალდემოკრატების თითქმის მთელი პროგრამა-მინიმუმი, მაშინ რაღა ჯანი იყო, უკან გაიხმო მთავრობამ თავის კაცი.

გურიიდან გლეხების მოძრაობა გადავიდა მოსაზღვრე იმერეთში, იმერეთიდან კი უკანასკნელ დროს თფილისის გუბერნიაში. რაც დრო გადის გლეხები მთელ ქუთაისის გუბერნიაში უფრო და უფრო მეტ შეგნებას იჩენენ: რუსეთის დიად მოძრაობას არა თუ გვერდში უდგანან, წინ უსწრებენ თამამათ, შეგვიძლია ვთქვათ. რომ ქუთაისის გუბერნიაში ქალაქათ და სოფლათ მოიხპო მეფის მთავრობა, თუ სადმე კიდევ დარჩენილა თითო-ორი პირი ძველი რეჟიმის წარმომადგენელი, ისინი სადმე კუნჭულში მიმაღულან და შორიდან თავს უკრავენ გამარჯვებულ ხალხს. ამ ჟამათ ხალხის სული და გული იარაღის შექმნაზეა მიპყრობილი. ჩვენში დღეს-დღეობით ნამდვილ შეიძლება, ითქვას, რომ გლეხების მოძრაობა შეგნებული ხასიათისაა, პირველ დასაწყისში კი სტიქიური იყო.

როგორია გლეხის მოძრაობა რუსეთში? ჩვენ აქ არ შეგვხვებით გლეხების მოძრაობას პოლონეთში და ლიტვაში. ამ ორივე ქვეყანაში მეურნეობა კაპიტალისტურ ნიადაგზე დგას. ხომ მოგვხსენებათ, საცა კაპიტალისტური მეურნეობაა, იქ არცებობს სოფლის მუშა და მეურნე-კაპიტალისტი, მათ შორის ბრძოლა სოფლათ იმავე წესით წარმოებს, როგორც ქალაქში მუშასა და მეზავოდე-მეჭარხნე შორის, მხოლოდ ერთი განსაკუთრებით: სოფლის მუშა უფრო ცუდ პირობებშია, ვიდრე ქალაქის.

როცა რუსეთის გლეხობის მოძრაობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სახეში გვაქვს რუსეთის შუაგული და ჩრდილო გუბერნიები, იქ გლეხების მოძრაობას საშინელი მკაცრი ხასიათი აქვს, მას აზის უტყუარი ბეჭედი სრული შეგნებლობის და მოუწყობლობის. მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლა გამოიხატება იმაში, რომ გადატაკებული და დამშეული გლეხები პირდაპირ ესხმიან მემამულის სასახლეს, ამტვრევენ ბელლებს, გამოაქვთ იქიდან პური, ტვირთვენ ურემებს და შინსკენ ზიდვენ. ასეთი ყოფაქცევა გლეხების საუბედუროთ იშვიათია, უფრო ხშირათ კი აირა ხდება: როცა ბელლებს დაკლიან, საქონელს დაიტაცებენ, მერე მოდგვიან მემამულის სასახლეს: ამსხვრევენ შუშებს, ანგრევენ ფეჩებს, ამტვრევენ ავეჯეულობას, ცეცხლში წვენ წიგნებს და ქალაღდებს, პირადათ მემამულეს და მის ოჯახს ხელს

არ ახლებენ, წინდაწინ შეუუვლიან ხოლომე — ქალაქში მოხრანდენ. სარატოვის გაზეთებში თიფილი გოლიციის სასახლის აკლენის შესახებ აირა ვკითხვლობთ: „როცა აიკლეს მარან-ბელლები, მოსამსახურეების სახლები, მერე ბრბო მივიდა სასახლეში და შეიქნა საშინელი „პოგრომი“. ამსხვრევედენ მარმარილოს ქვის ქანდაკებებს, ხევედენ იშვიათ სურათებს, ხალგებს. ბევრი იარაღი, ლამპები, სამოვრები, ბალიშები, ვეცხლის და ოქროს ნივთები დაიტაცეს. როცა შეავროვეს იმდენი, რასაც მოერეოდენ წასაღებათ, მერე სასახლეს წაუკიდეს ცეცხლი და მიატოვეს...“

დიდხანს იწოდა სასახლე. ხანდახან გვეგონებოდა სასახლე როდი იწვის, ვულკანმა ამოხეთქაო. ეს სასახლე 100 წლის წინათ ყოფილა აშენებული და ნამდვილ ისტორიულ მუზეუმს წააგავდა. მასში იყო შეენიერი ბიბლიოთეკა ფრანგების და ნემეცების ფილოსოფოსების, სურათები რუსეთის და საზღვარ გარეთელ საუკეთესო მხატვრების, ჭურჭლეულობა, ქანდაკებები და სხვ...“

საცა არ ზოგვენ სასახლეებს და ძვირფას ნივთებს, მემამულეების ტყეს რა დღე დაადგება, ადვილი წარმოსაღვნია. რამდენიმე ასი მოსახლე ერთათ წავლენ ხოლომე მემამულის ტყეში, შეესევიან მას, დაამხოვენ ძირს საუკეთესო ხეებს და რასაც მოერევიან წაიღებენ შინ, სხვას ტოვებენ იქვე დასალობათ. ასეთია უმეტეს ნაწილათ გლეხების მოძრაობა რუსეთში.

საბედნიეროთ ჩვენდა უნდა აღვნიშნოთ, რომ საცა ჩვენი ამხანაგები სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობას უწევენ გლეხების მოძრაობას, იქ ადვილი არა აქვს აგრარულ ტერორს, გლეხები წინდაწინ შემუშავებულ მოთხოვნისებას უყენებენ მემამულეებს და მთავრობას. ამ რამდენიმე თვის წინათ დაარსდა გლეხთა კავშირი. რომლის მიზანია შეიტანოს შეგნება გლეხები მოძრაობაში და შექმნას მტკიცე ორგანიზაციები.

გლეხების სტიქიურ, ძლიერ მკაცრ მოძრაობის მიზეზათ თვითმპყრობელობა უნდა ჩაითვალოს. მთელი საუკუნოებით რუსეთის გლეხობა მთავრობას თავის კლანჭებში ყავდა გამომწყვდეული; უკანასკნელ ვარსისხლს წოვდა მას, გადატაკებულ დამშეულ გლეხს უკანასკნელ პრანგს უყიდდა და გადასახადებს ამნაირათ ახთევიანებდა; ამ გზით ადებულ ფულებს ჩინოვნიკებს ურიგებდა. გლეხებისათვის არც სწავლა-განათლება და არც არავითარი უფლება, მათვის მეფის მთავრობას მხოლოთ „როზგი“ ემეტება. როცა მოთინების ფილათავადის აივებოდა, გლეხები დროგამოშვებით უმახლობლეს მტერზე მიიტანდენ იერიშს. აქამდის მემამულეები იყვენ იერიშის საგანი; ახლა რადგანაც მემამულეების მოკავშირეთ მეფის მთავრობა გამოსულა, მეორე იერიში გლეხების მხრივ იმაზე იქნება მიტანილი და თვითმპყრობელობას უკანასკნელი ჟამიც მაშინ დაკრავს.

რედაქტორი - ვაჰტანგოლი
გ. ლოთოძიძეანიძე.